№ 270. დეკემბრის 15, შაბათი. 1866—1884 დეკემბრის 15, შაბათი. № 270

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

საქართველოს ... ბიბლიოთეკა ტფილისი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

ვაცნობებთ ნათესავთა და მახლობელთა, რომ წლის წირვა და საფლავის კურთხევა განსვენებულის კნეინა ნინო აფხაზისა დანიშნულია შაბათს, დეკემბრის 15-ს, დილის ცხრა საათზე იოანნე ღვთის-მეტყველის ეკლესიაში, ვერაზედ.

(3—3)

თ-დი ნიკოლოზ აფხაზი,
ელისაბედ საგინოვისა,
ილია ჭავჭავაძე.

## ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, დეკემბრის 15-ს.

ბრძოლამ კოლონიებისათვის ცხარე ხასიათი მიიღო. გერმანიასა სწადიან ინგლისს მისი გავლენა კოლონიებზე შუა გაუყოს და მართლაც შორეულ ქვეყნებში, განგებ ამისათვის გაგზავნილი ხომალდები გერმანიისა ხან ერთს კუნძულზედ გაშლიან გერმანიის დროშას, ხან მეორეზედ; მაგალითად, დიდს ოკეანეზედ ურიცხვი კუნძულები მდებარეობენ, რომელთაც სხვა-და-სხვა სახელმწიფონი ჰფლობენ; მაგრამ არიან მათ შორის იმისთანანი, რომლებზედაც ჯერ საბოლოოდ არავინ დამკვიდრებულა და სწორედ ეს კუნძულები შეადგენენ ამ ჟამად საგანს ცილობისას ევროპის სახელმწიფოთა შორის და განსაკუთრებით შორის გერმანიისა და ინგლისისა. ეს ორნი სახელმწიფონი იმ კონფერენციის დაბოლოვებასაც კი არ უცდიან, რომელიც განსაკუთრებით კოლონიების საქმეზეა შეყრილი ბერლინში და ჰგზავნიან ხომალდებს სადავლოდ ოკეანეს იქით. ამ პოლიტიკას მისწრების პოლიტიკა რომ დავარქვათ, ნამდვილთან შორს აღარ ვიქნებით. გაზეთებს რომ ყური დაუგდოს კაცმა, პოლიტიკურ ამბებიდამ ისეთი შთაბეჭდილება გამოაქვს, თითქო სხვა-და-სხვა სახელმწიფოთ კოლონიების ყურთა-გლეჯა გაემართნოთ. ესეთი «მსუსნაობა» კუნძულებისა და კოლონიებისადმი გამოწვეულია ბისმარკის მეოხებით, რომელიც, როგორც არა ერთხელ იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, გარეშე პოლიტიკით ნუგეშობს თავს და აქარწყლებს იმ უსიამოვნობას, რომელსაც შინ აყენებენ. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ბისმარკისადმი თაყვანისცემა გერმანიის ხალხში გამოწვეულია თითქმის მხოლოდ ამ გარეშე პოლიტიკით, რომელიც გერმანიის სახელს შორსავრცელებს და ამ ქვეყანას ჰხდის პოლიტიკური მოძრაობის ცენტრად.

***

მჭირვება კიდეც თავადს ბისმარკს ესეთი ნუგეში იმ დამარცხებისათვის, რომელიც მან ზედიზედ მიიღო პარლამენტში. ერთს ჩვენს წინა-მიმოხილვაში ვსთქვით, რომ ორი სამძიმო საგანი: ერთი დეპუტატებისათვის ჯამაგირების დანიშვნის შესახებ და მეორე შესახებ მაისის კანონებისა, გადაწყდა ბისმარკის წინააღმდეგათ. ამ საგნებს გასულს კვირას მესამეც მიემატა, რომელიც, თუმცა სამძიმოდ არ ჩაითვლება, მაგრამ აშკარად ამტკიცებს თუ როგორ მოსწყინდა პარლამენტს ბისმარკის ბატონობა, მცირე რასმეშიაც კი არ უსრულებს მას წადილს და ცდილობს ყოველის თავის გარდაწყვეტილებით უსიამოვნობა მიაყენოს. ბისმარკმა მოიწადინა მიემატებინა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯისათვის სულ 20,000 მარკა, რადგან საქმეების რიცხვმა იმატა და ჯაფა ბევრად მეტი მოსდით ჩემთ მოხელეთაო. ამ უბრალო საგანმაც კი ცხარე გაკიცხვა გამოიწვია პარლამენტში და გაკიცხვას მოჰყვა არა ნაკლებად ცხარე ლაპარაკი ბისმარკისა, რომელმაც ორჯერ საქმეში ჩარევითაც ვერა ჰქნა-რა და მისნი მოხელენი ისევ უწინდელს ულუფაზედ დარჩნენ. ტელეგრამამ მოგვიტანა ამბავი, რომ ესეთი სიძუნწე პარლამენტისა ხალხს ცუდად მიუღია და თავისით გაუმართავს ხელის-მოწერა, რათა ბისმარკს თავის ჯიბიდამ შეუსრულოს ის, რაც პარლამენტს არ მიუცია. ესეთი თანაგრძნობა ხალხისა ჰმოწმობს პარლამენტის გადაჭარბებას. პარლამენტი უნდა მაღლა იდგეს პიროვნობაზედ და მიჰხედოს მხოლოდ საზოგადო საქმეს; ეხლანდელი პარლამენტი კი უარჰყოფს თითქმის ყოველივეს, რაც ბისმარკის მონადლვაწია და რა გასაკვირველი იყო, რომ ესეთი ცალკერძი ქცევა პარლამენტისა პროტესტს გამოიწვევდა ხალხში და ამ გვარად თავადს ბისმარკს თავზედ დაადგამდა შარავანდედს პარლამენტისაგან გატანჯულისას.

***

როდესაც ევროპის პარლამენტებში ბრძოლაა სხვა-და-სხვა პარტიებისა და პირთა შორის, ამ დროს მოდინამიტენი თავიანთსას არ იშლიან და ვერავითარი სასტიკი კანონები არ აბრკოლებს მათს განზრახვას. გასულს კვირას, ლეიპციღის სამსჯავრომ სხვათა-შორის, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სამს დამნაშავეს, რომელთაც ბრალდებოდათ განზრახვა აფეთქების მოხდენისა ნიდერვალდში, როდესაც გერმანიის იმპერატორი, მემკვიდრე

---

«დროების» ფელეტონი, დეკმ. 15-ს

## საერო მიწის მფლობელობა ჩვენში

### შიდა-კახეთი და ქართლი

(დასასრული *)

ქართლზედ მე იქნება ჩემს წერილებში არც არა მეთქვარა, რადგან იქ საერო მიწის მფლობელობის წესები სულ რამდენსამე სოფელში ჰსუფევს და ეს წესებიც მესამე ტიპის მფლობელობის წესებს წარმოგვიდგენენ: ესე იგი, გვარების მიერ დაჩემებულ მიწებს, რომელნიც გვარის ამოწყვეტის შემდეგ სათემო საკუთრებად რჩებიან და რომელთ მიყიდვა გარეშე პირთათვის არ შეიძლება. ეს მიწები, ამას გარდა, თუ მათში ჰირნახული არ არის, სათემო საძოვარსაც წარმოადგენენ, და ზედ ნება აქვს წიწკნოს ბალახი იმისმა ძროხამაც, ვისაც ერთი ჩიჩქნა საკუთრება არსად მოეძებნება.

მაგრამ ორმა სოფელმა ამ საბატონო ქართლში — ბომმა და მეტეხმა, ერთის თავიანთის თქმულებით, სრულიად დამარწმუნა, რომ ქართლშიც, სულ პირველად მხოლოდ მიწის საერო მფლობელობის წესები ყოფილან. ეს თქმულება სრულიად იგივეა, რაც ლავალეს, გამოჩენილს საერო მიწის მფლობელობის გამომკვლევველს მოჰყავს თავის თხზულებაში*), როცა ლაპარაკობს ამ მფლობელობის ფორმის შესახებ ერთს თემთაგანში. ამ თქმულობით, თუმცა მეტეხი საეკლესიო სოფელი ყოფილა დასაწყისიდამვე და ბომი კი სახემწიფო, მაინც მინდორი გაუყოფელ და საერთო ხმარებაში ჰქონიათ. გაყოფა მოსდომიათ და ვერაგზით ვერ მოუხერხებიათ; მერე ორთავე სოფლის საზოგადოებას გადუწყვეტია: იყიდლებს თუ არა მამალი, ბომმა თავის მხრით განსაზღვრულის ჰასაკის ქალი გამოგზავნოს მეტეხისკენ, მეტეხმა თავისი ბომისკენ: სადაც შეჰხვდებიან ერთმანეთს, მიჯნა იქ დაიდოსო. ბომელებს ქალის ტანისამოსით ბიჭი გაუქცევიათ და მეტეხელებს ზედ მათ სოფლის კრიჭაში კი შეჰხვედრიან. მიჯნაც ისე დაუწესებიათ. და დღეს, თუმცა ბომი მეტეხზედ ორჯელ პატარა სოფელია, ორი მეტეხის-ტოლა მამული უჭირავს. ეს მეტად გავრცელებული თქმულება ამტკიცებს, რომ წინად აქ, არა თუ თითო-ოროლა სოფელს, — რამდენსამე სოფელსაც კი სათემო და საერთო ხმარებაში ჰქონიათ მამულ-დედული.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ, როგორც სჩანს, ვისაც მუშაობა შესძლებია, მუშაობის საგანიც იმასა ჰქონია, მუშაობის სახსარი და იარაღიც იმასა სჭერია. თითონ მიწის დაჩემება, როგორც ჰაერისა, უიმისოდ, რომ არ ეხნა იგი და არ ემუშავნა ზედ, ჩვენთ წინაპართ, ეტყობა, ფიქრადაც არ მოსვლიათ. მცხოვრებელნი თუ „ჰყმობდენ“ ბატონს, — ეკლესია იყო ეს ბატონი, თუ კერძო პირი, — ჰქმობდენ მოსავლით. სოფელ რუისში საეკლესიო გლეხები მოიგონებენ ხოლმე, რომ ეკლესიას ზოგნი ამდენსა-და-ამდენს ლიტრა თაფლს ვაძლევდითო, ზოგი სანთელსაო, ზოგი პურსაო და სხვა დამოკიდებულება ჩვენში არა იყოო. ჭაკაბეთში და საგარეჯოში მაგასვე გაიგონებთ... მაგრამ ამ გამოკვლევით მე საგანს ავცდები. სასურველია, რომ ამის შესახებ ისტორიული ფაქტების მცოდნე დაასკვნიდეს რასმე.

ასე თუ ისე — ზემოდ მოყვანილი თქმულება, იმას მაინც ამტკიცებს ცხადად, რომ ერნი, რომელთაც ერთმანეთის სახელიც კი არ გაუგონიათ, მიწის მფლობელობის წესების შესახებ, ერთისა და იმავე ფორმების შემუშავებისათვის ცდილან. ასეთია ერისა და კაცის ბუნება. კაცი კაცია ყველგან და ერიც — ეს კრება თითოეულის კაცებისა — ვერაფერს ისეთს ვერ მოინალვაწებს, რომ მეორე და მესამე ერს სრულიად ეუცხოვებოდეს. საზოგადო აზრი

*) იხილე „დროება“ № 269.

*) Первобытная собственность, Эмиль де-Лавалэ.

პრინცი და მრავალნი მეფენი გერმანიის წვრილ სახელმწიფოთა იქ იყვნენ თავ-მოყრილნი. განცალკევებით იქნება ამ ფაქტს მნიშვნელობა არა ჰქონოდა-რა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ვენის ახლოც რამდენსამე ალაგას იპოვეს საიდუმლო სტამბები, სხვა-და-სხვა გამოცემანი და აგრეთვე ბლომად დინამიტიც; რომ ინგლისის პოლიციას დღე და ღამე არა სძინავს, გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს მოდინამიტეთ, და მაინც კიდევ უკანასკნელნი ხშირად ახერხებენ თავიანთ განზრახვის შესრულებას,— მაშინ მართლა რომ საფიქრებელია, თუ როგორ გათავდება ეს უწყალო ბრძოლა, რომლისათვის ფარულად ბნელაში ემზადებიან, მაგრამ რომელსაც ხშირად მით უფრო საზარელი შედეგი მოსდევს ხოლმე.

## შინაური ქრონიკა

— პარასკევს, დეკემბრის 14-ს თბილისის საადგილ-მამულო ბანკში მოხდა პირველი ვაჭრობა მამულებზედ. გამოცხადებული იყო სავაჭროდ 156 მამული; პატრონებმა ამ მამულებისამ ყველამ შემოიტანეს გადასახადი გარდა 26-ისა. ამ 26 მამულებზედ (12 ქალაქისა და 14 სოფლისა) მოხდა ვაჭრობა; მათ-შორის გაიყიდა 9 მამული (5 ქალაქისა და 4 სოფლისა) და დანარჩენს 17 მამულზედ ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება დეკემბრის 29-ს.

— კახეთის გზაზედ კიდევ დაუწყვიათ სხვა-და-სხვა თავჩედ ხელ-ალებულებს ცარცვა-რბევა გამვლელ-გამომვლელისა. გომბორის მთაზედ კვალად ბრძანებლობს თურმე თავის ამალით გამოჩენილი ქელბალაი, რომლის შესახებაც უკანასკნელ ხანს არაფერი ისმოდა, მაგრამ რომელსაც საჭიროდ დაუნახავს ხალხი კიდევ თავის «ვაქ-კაცობაზედ» აალაპარაკოს. მუღანლოელი თათრებიც ნაკლებს თავგასულობას არ იჩენენ თურმე. ამ დღეებში ორი-სამი მგზავრი გაუცარცვავთ ამ გზაზედ და რამდენიმე სული საქონელი და ცხვარი მოუტაცნიათ.

— გარდა იმ «მშვენიერ წესებისა», რომელნიც ნავთლუღის ჭელდშერეების სკოლაში არსებობენ და რომლებზედაც ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, ამავე სკოლაში ერთი ჩანებული წესი კიდევ შემოუღიათ და ამ წესის შემოღებას სხვა სასწავლებლებსაც ვურჩევთ „ჭკუის სასწავლებლად“: ამ სკოლის უფროსებს თურმე გაწკეპლისათვის მიუმართავთ და ეს ჩინებული ღონისძიება მართლა რომ საუკეთესო საპედაგოგიო ღონისძიებად უცვნიათ!

— გამგე კომიტეტი ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის დაარსებულის მეორე საზოგადოებისა სთხოვს ბბ. წევრთ და წევრად ჩაწერის მსურველთ მიბრძანდენ ამა დეკემბრის 12-ს, საღამოს 7-ს საათზე ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის სადგომში საზოგადოების წლიურის ანგარიშის მოსასმენად და კომიტეტის წევრთა არჩევანისათვის.

— ამ სამი დღის წინად ჩვენ დავესწარით ჰიპნოტიკურ სეანსზედ, რომელზედაც ახალი ანტისპირიტი ბ. ფ—ი სცდიდა თავის თავს გულთმისნობაში. ანტისპირიტების გულთმისნობის და სხვათა აზრის მიხვედრას განცვიფრებაში მოჰყავს კაცი—პირველის შეხედულობით და მცოდნე კაცები ბევრსა სცდილობენ, რომ ჯეროვანი განმარტება მისცენ ამ გვარს მოვლენას, მეცნიერებისამებრ ახსნან მისი ვითარება.

ზემოხსენებულს შინაურ სეანსს დეესწრნენ სამი დოქტორი, ათიოდე მასწავლებელი და რამდენიმე ქალები. ჩვენ ჩავიფიქრებდით რამდენსამე აზრს და ფ—ს უნდა გამოეცნო, რა აზრი ჩავიფიქრეთ, გულში, რა განვიზრახეთ. პირველად ჩავნიშნეთ შემდეგი უბრალო აზრი, მაგ: ორში ერთი შანდალი აიღოს ჰიპნოტიკმა სტოლიდამ და შესდგას ლამბაქზედ; მეორედ: გადასცეს კარანდაში იმ პირს, რომელიც ჩვენ გულში გავივლეთ და მესამედ ერთის საპაპიროზედამ ამოიღოს პაპიროსი და სხვ... როცა ჩვენ ამ აზრებს ვნიშნავდით და გულში ვივლებდით ბ. ფ—ი მეორე ოთახში იყო. შემდეგ გამოვიდა და ერთმა ჩვენთაგანმა დაადო ოდნავ ერთი ხელი მხარზედ და მეორე გულთან და ორთავემ ამნაირად დაიწყეს ნელ-ნელა ტრიალი და ფ—მა შეიტყო ჩვენი აზრები და შეასრულა ყოველივე, რაც განზრახული გვქონდა. ამ ცდის დროს ხელ-მძღვანელი, რომლის ხელებიც ადევს მხარზედ და გულზედ, უთუოდ გამოსაცნობის აზრის ფიქრში უნდა იყოს. როცა ხელ-მძღვანელი მართლა ჩანიშნულ აზრზედ ფიქრობს, ფ—ს არ უჭირდება იმ აზრის გამოცნობა. ეს იმიტომ, რომ ის ვინც ხელს ადებს მას, დაჰყვება თავის სურვილს ატყობინებს ჰიპნოტიკოსს თავის უნებურადვე. ჰიპნოტიკოსი მხოლოდ მაშინ მიხვდება დანიშნულს აზრს, როცა ამ აზრზე ფიქრით თქვენი სხეული შეპყრობილია; და ძალა-უნებურად ხელებს იქით მიჰყვებართ, საცა ჩანიშნული ნივთია; როცა ჰიპნოტიკოსი იმ ალაგს მივა, თითქო თქვენი ხელებიც ჩერდება და ამ გარემოებას ჰიპნოტიკოსის გრძნობიარე ტანი მაშინვე ტყობულობს.

ბ. ფ—ს თან-და-თან უფრო ძნელად გამოსაცნობი აზრები ჩაუნიშნეს — ის უფრო, თითქო როლში შევიდაო, თან-და-თან გაცხარდა: ჩანიშნული სურათი ჩამოიღო კედლიდამ, აიღო ჩანიშნულივე სკამი და სურათი იმ სკამზედ დასდო; გამოართო ერთს, როგორც ჩანიშნული იყო, დამალული გასაღები, გააღო ორში-ერთი ჩანიშნული შკაფი, ამოიღო იქიდამ მეორე შენახული გასაღები და გადასცა პატრონს; ან კიდევ: სტოლზედ იდო ოციოდე წიგნი, ერთი იპოვნა და ამოიკითხა ჩანიშნული და გულში გავლებული აზრი...

ამ ჟამად ყველა დიდ ქალაქებში საზოგადოების ყურადღება არის მიქცეული ამ საიდუმლო და საოცარ მოვლენაზედ. ბ. ფ—ს ამ მოკლე ხანში ექმნება სეანსი „კრუჟოკში“ ნიკოლოზის სასწავლებლის სასარგებლოდ. სცენაზედ სხვათა-შორის ბ. ფ—ი დააძინებს ქალს ჰიპნოტიკურის ძილით.

— გაზ. „ჩრდილოეთის კავკასია“-ში მოთხრობილია შემდეგი ამბავი: ვლადიკავკაზის ციხიდამ ამას წინად გაიქცა ახალ-გაზრდა ტუსაღი, გვარ-ტომობით ოსი, რომელსაც კატორგა ჰქონდა სასამართლოსაგან გადაწყვეტილი. ტუსაღმა დაამტვრია ბორკილები და გაიქცა მთებისკენ, რომლის მწვერვალები ანდამატივით იზიდავდენ თურმე პყრობილს. მოხდა ერთი ალიაქოთი: სალდათები დაედევნენ თოფებით, დაიჭირეს, მაგრად სცემეს და დასახიჩრებული მხარჩამოცლილი, თითქმის ბავშვი—ტუსაღი მიიყვანეს ვიღაც კაცთან, რომელიც სამხედრო შინელში იყო. ამ გულადმა მხედარმა დაუწყო ღრიალი სალდათებს, ვინ გაბედა ამის დაჭრა, უნდა თქვენ მიგეწვინათ და შუბებით დაგეხვრიტათ. „იქნება, ამბობს თავისით გაზ·

---

ყოველ-გვარ მოვლენისა საკაცობრიო ისტორიაში ერთი და იმავე ხასიათისაა. გარჩევას მხოლოდ დაწვრილებანი წარმოადგენენ. ყოველი მოვლენა, ყოველი ინსტიტუტი, ყოველი სახე და ტანი ბუნებისა ერთსა და იმავე ზრდისა და განვითარების კანონებს ემორჩილება და ეს ზრდისა და განვითარების კანონები ერთია ყველგან, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან. მთელი ევროპა ძველად, ლავალეს გამოკვლევით, საერო მიწის მფლობელობას წარმოადგენდა და დღეს კი კანტი-კუნტად-ღა თუ იპოვით ამ ფორმას. ჩვენშიც ასეა დღეს. ჩვენში ეს ფორმა იქ დარჩენილა სხვა-და სხვა თავის განსაკუთრებულ-თვისებით, საცა საზოგადო კულტურის გავლენა მცირე ყოფილა.

ისე ვერ დავასრულებ ამ ჩემს წერილს, რომ ერთს საგანსაც არ მივაპყრა მკითხველის ყურადღება; მე ვამბობ კახეთსა და გარე-კახეთს შუა გაჭიმულ ცივის მთის ქედზედ, როგორც სათემო და საზაფხულო იალალზედ: წარსულს დროში ხომ საქართველოში საქონლის ყოლას უპირატესი ადგილი სჭერია და ახალ დროშიაც ხვნა-თესვაზე ნაკლები ყურადღება არა აქვს მიქცეული; აქ დღესაც ფშავი, ხევსური, თუში, ქიზიყი და გარე-კახეთი უმთავრესად საქონლის ყოლას მისდევენ. ძველი საქართველოს სამართალი „სისხლსაც“ და გადასახადსაც ვერცხლის ფულთან ერთად, საქონლითაც აფასებდა და დამნაშავეს სრულ სურვილზე იყო დამოკიდებული, რითი გადაეხადნა მოვალეს. ძროხის, ცხვრის და ღორის გადაჭრილ ფასად მიღება დღესაც არ გადავარდნილა. ფშავ-ხევსურეთში დღესაც გაიგონებ ხუთი თუმანი რო ემართოს ვისმე—„ხუთი ძროხა მმართებსო“. ასეთ საქონლის მიმდევარ ერს შესამჩნევი სათემო წესებიც ჰქონია საძოვრების ხმარებაში.

აი, ჯერ თითონ ამ საზაფხულო იალალის წესები გავსინჯოთ. რაც კახეთისკენ წყალი მიდიოდა, ის ადგილები ცივისა იყვნენ კახეთის სოფლების მფლობელობაში: ვარდის-უბნის, კისისხევის, არტოზნის და ხოდაშნის ადგილები; რაც პირ-იქით გარე-კახეთისკენ, ის ადგილები ეკავათ გარე-კახეთის სოფლებს; მანავს, საგარეჯოს, გიორგი-წმინდას და ნინო-წმინდას. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ამ გვარ დასაკუთრებულ იალალზე, მარტო მოსაკუთრე სოფლის საქონელი სძოვდა. ყოველთვის სავარდისუბნო ცივზე შეჰხვდებოდით, რომ ვარდისუბნის საქონელთან ერთად, რომელიმე თიანური ფშავლის საქონელიც ყოფილიყო გაშლილი, საგიორგი-წმინდო ცივზე ჩალმა-თუშისა, საკისის-ხეო ცივზე—წოვა-თუშისა და სხვ.

ხდებოდა ეს ასე: მარტშივე ზამთრის ბინებში გაცალცალკევებული მწყემსები იწყებდენ მოლაპარაკებას და პირობით იკვრებოდენ, ვინ ვისთან გაურევს საზაფხულოდ საწველად საქონელს. ცხრა და ათ მწყემსზე ნაკლებ ერთი ბინა არ შესდგებოდა და მსხვილ-ფეხი საქონელიც უნდა რვაას და ცხრაას ნაკლებ არ ყოფილიყო. წვრილ-ფეხი კი, ვსთქვათ ცხვარი, სამი და ოთხი ათასი. ესე „შეკრული ბინა“ ირჩევდა სარქალს და სწყვეტდა—სად არეკონ საქონელი. ადვილად შესაძლებელი იყო, ამ მწყემსებს თავიანთ სასოფლო იალალი ჰქონოდათ, მაგრამ სხვაგან წასულიყვნენ, რადგან საბალახეს ყველგან ერთს აძლევდენ; ყველა სოფლის საზაფხულო საძოვრები მწყემსებისაგანვე იმ თავით საბინაოებად არიან დაყოფილნი და თითო საბინაოს წრეში თითო ქოხია გაკეთებული; ვსთქვათ, სავარდისუბნო ცივზე რვა ბინა იმართება—რვა ქოხსაც ჰნახავთ იქ, საგიორგი-წმინდოში ხუთი ბინა და ხუთი ქოხიც დაგხვდებათ საუკეთესო ადგილს, საბინაო წრეში აშენებულნი. დაიძრა საზაფხულო იალალზე თოვლი „შაკრულ ბინიდან“, მიდის მოსაზრებულ ნაბინავარზედ ორი მწყემსი, ასუფთავებს იქ აშენებულ ქოხს, წინ სდგამს სადღობლის ჩამოსაკიდს ბოძს და ბრუნდება უკან. ამის შემდეგ მოსულნი ამ ბინაზე მწყემსები, სხვა ბინის საძებრად მიდიან, რადგან პირ-და-პირ დაინახვენ, რომ ის ბინა უკვე დაჭერილია. აქ „ჩვენებური“ „თქვენებური“ არ არსებობს—მისწრობაა და მწყემსთ სურვილი. ბარში დაცხა, „შაკრული ბინა“ დამხადებულ ქოხში ამოდის იალალზე და სარქალი იწყებს თავის თანამდებობის შესრულებას: ყოველ დილით აწველინებს ძროხას, ზოგ მწყემსს ხბოში ჰგზავნის, ზოგს მშრალში, ზოგს ფურში, ზოგს შეშაზედ—ზოგს სახლში ჯერის ამო-

თი, სამხედრო დისციპლინისამებრ, ეს უნდა ეთქვა სალდათებისათვის ამ რაინდს, მაგრამ ეს სიტყვები მეტად მკაცრად გვეჩვენენ, და სხვებზედაც ფრიად მძიმე შთაბეჭდილებას აწარმოებს''.

═ გაზ. ,,კავკაზში'' დაბეჭდილია მოკლე ანგარიში ,,კრებულისა'', რომელიც იბეჭდება ყოველ-წლობით კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის თაოსნობით მისავე კანცელარიისაგან. კრებულში, რომელიც ამ შემოდგომას დამდეგს გამოვიდა, დაბეჭდილია შემდეგი მეცნიერებისათვის საინტერესო წერილები ჩვენის ქვეყნის თვით გადაკარგულ მხარეთა შესახებაც კი: განისა: ,,ცნობანი მველეთა საბერძნეთისა და რომაელ მწერალთა კავკასიაზე'', ,,ცნობანი აისორებზე'' ა. აივაზოვისა, ,,რამდენიმე ცნობა აფხაზთ ცხოვრებაზე'' გ. მაჭავარიანისა, ორი ლექცია ნ. გულაკისა ,,რუსთაველის ვეფხვის ტყაოსანზე'' და სხვ.

═ გაზ. ,,კავკაზის'' ქრონიკაშივე ჩივიან, რომ ავლაბრის ორთავ ხიდის ყურში არამც თუ ბულვარები არ არიანო, თვით ქუჩები ისეა სავსე სხვა-და-სხვა მწვანილით და საბაყლო სავაჭროებით, რომ კაცი ვერ გაივლისო. დაუმატეთ ამას საშინელი მოძრაობა და ხალხის სიმრავლე, რომელიც აქ სუფევს და ცხადად წარმოიდგენთ, რა გასაჭირი უნდა იყოს აქ სიარულიო.

## კახეთის ავი და კარგი.

თუმცა დღევანდელი ჩემი საუბარი ,,დროების'' მკითხველებთან არ არის სასიამოვნო, მაგრამ რა გაეწყობა, არც ჩვენა ვართ მოხარული ამისთანა უსიამოვნო ამბებისა. მართალია, კახელებს არა გვწევია ისეთი დაუ-რიდალი და მძლავრი სენი—ხოლერა, რომელიც ერთს ხანად მძვინვარებდა დასავლეთ-ევროპაში და შეუბრალებრივ მუსრავდა ხალხს, მაგრამ არც აქ არის ხალხის მუსვრა იშვიათი. თითქმის ყოველ დღე გაიგონებს თელავში მცხოვრები, რომ ამა და ამ სოფელში მოჰკლეს კაციო.

ს. ბექანიანში, ერთ იქაურ მცხოვრებს, გვარად ხ—ოვს ჰქონია გამართული წვეულობა, სადაც სხვათა შორის მიწვეული ყოფილან ტიტ. მ—ძე და საცხენისის სასწავლებლის ზედამხედველი ა. ქ—შევი. წვეულობის შემდეგ მ—ძეს ამოუღია რევოლვერი და მიუშვერია ქ—ისთვის, ვითომ შესაშინებლად. ამასთანავე დაუძახნია, რომ მომეცა ს—ხო, თორემ მოვიდა რევოლვერიო. ბ. ხ—ოვს, როგორც მასპინძელს, შეჰშინებია, რომ ჩემს სახლში უბედურობა არა მოხდესრაო და შუაზედ ჩასდგომია ქ—შევის დასაცველად ამ სიტყვებით: ,,როგორც მასპინძელს პატივი დამდეო'', მაგრამ უეცრად გავარდნილა რევოლვერი და ტყვია-კი შიგ გულში სძგერებია. საბრალოს მაშინვე სული დაულევია. ამ ნაირად, მაღლობის მაგივრად სტუმრებს საიქიოს გაუგზავნიათ საწყალი მასპინძელი.

გიორგობისთვის 10-ს ს. ფშაველში მოუკლავთ კომბლებით ერთი კაცი ორლობეში, რომელიც მთელი ერთი კვირა ეგდო დაუმარხავი და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ელირსა საბრალო კაცის გვამს მიწა. მკვლელები ჯერაც არ უპოვნიათ და, ვინ იცის, იქნება ისინი თავისუფლად დასეირნობენ კიდეც სოფელში..

არც სხვაფრივ არიან კახელები ბედნიერნი..

მე ვამბობ საქონლის ჭირზედ, რომელიც მოდებულია მთელს კახეთში და უწყალოდ ანადგურებს საქონელს. თითო ოჯახში უკანასკნელი ხუთი ან ექვსი სული საქონელი დაზარალებულია ამ ჭირისაგან და ზოგგან უფრო მეტიც. არა ერთსა და ორი სოფლის გლეხები საერთოდ უჩივიან საქონლის ჭირს. ერთი გლეხი იძახდა, რომ ათი სული საქონელისაგან ორი-ღა მყავსო...

არც ქიზიყში და თიანეთის მაზრაში არის ნაკლებად საქონლის ჭირი მოდებული. ერთმა ჩუმლაყელმა (სოფელია ქიზიყში) კაცმა მითხრა, რომ ჩვენში ერთ გლეხს გვარად მირველაშვილს ოცდა-ათი სული საქონელი მოუკლა ჭირმაო. დიაღ, ძლიერ მწუხარებაში და ზარალშია ჩვენი გლეხობა... ნუ თუ სამართლიანობა არ იქნება, რომ ორი ან მეტი პირუტყვთ-ექიმი ერთხელ და სამუდამოდ დანიშნონ ჩვენკენ, რადგანაც ეს ჭირი კახეთში პირველი და უკანასკნელი არ არის.

თელავის მაზრის ჩაფრების უფროსი წარმოგვიდგენს ძველებურს შეუბრალებელს მოქრთამეების, მეზღვენების და მჩაგვრელის სურათს. ამ ბატონს უჩივიან, რომ იგი ზოგიერთა თავის ჩაფრებს ჯამაგირის მიღების დროს ხელს აწერინებს ჯამაგირის სრულად მიღებაზედ და ფულად-კი აძლევს მხოლოდ ან ნახევარს, ან უფრო ნაკლებს. მაგალითად: ერთის ჩაფრისათვის, რომელიც თავის მოვალეობას დიდის სიბეჯითით ასრულებს და ამასთანავე წვრილ-შვილის პატრონია, — მოუწერინებია ამას წინად ხელი ჯამაგირის სრულად მიღებაზედ, ფული-კი სრულად არ მიუცია. ამ ამბავს ვერც-კი შევიტყობდით, რომ იქ იმ ჩაფრის მეტი სხვა დამსწრენიც [illegible] ზელნიც არა [illegible]..

მორიელი.

## რუსეთი

მიმავალი წლის დამდეგს ფინანსთა სამინისტრომ მიაქცია ყურადღება ქვა-ნახშირის წარმოების საქმეს რუსეთში. სამინისტრომ დაინახა, რომ ამ რუსეთის მადნეულობის წარმოებას ძლიერ უშლის ხელს სამზღვარ-გარეთიდამ შემოზიდული ამ გვარივე მადნეულობა (ქვა-ნახშირი) და წინადადება მისცა ზოგიერთ გუბერნიების საბირჟო კომიტეტებს—გამოაცხადონ თვისი აზრი სამზღვარ-გარეთიდამ შემოსაზიდ ქვა-ნახშირზე ბაჟის დადების თაობაზედ. ამ კომიტეტთაგან უმეტესობამ გამოაცხადა, რომ ეს ბაჟის დადება ვნების გარდა, სარგებლობას არ მოუტანს ქვეყანასაო; ბაჟის დადებით იკლებს, რასაკვირველია, სამზღვარ-გარეთიდამ ქვა-ნახშირის გადმოზიდვა, შეშას ფასი მოემატება და ტყის განადგურება ისევ დაიწყებაო შიდა რუსეთში. ამ გვარის აზრისა იყვნენ საზოგადოდ ჩრდილო-რუსეთის გუბერნიების კომიტეტები. სამინისტროც დაადგა ამ აზრს და სამზღვარ-გარეთის ქვა-ნახშირი ასცდა ბაჟს. მაგრამ სამხრეთ-რუსეთის ქვა-ნახშირის მწარმოებელთ პიუმართავთ ამ ახლო ხანებში ხსენებულის სამინისტროსათვის სულ წინააღმდეგის მოსაზრებებით: ამათის აზრით სამზღვარ-გარეთის ქვა-ნახშირი დიდად აფერხებს თვით რუსეთის ქვა-ნახშირის წარმოებას; რომ ეს უცხო ქვა-ნახშირი გავრცელებულია თითქმის მთელს რუსეთის იმპერიაში და ამიტომაც მიუცილებლად საჭიროა მისი დაბეგვა, რომ

სატანად. თითონ აყველებს ყველს, უხვდება სტუმარს და თადარიგობს ბინაზედ. სტუმრის-მოყვარეობა, ამხანაგობის გატანა ,,ღვთიურად'' მოქცევა—წესია დღესაც მწყემსებში—ამის გადამსვლელი ჩირქსა სცხებს მთელ ბინას. «მრუდე», კაცს არც გაირევენ ბინაში—«საქონელს და ნაწველს ღმერთი ბარაქას აღარ დაგვიდებსო». მარილი ბევრი საქონლის პატრონმაც და ცოტასმაც ტოლად უნდა აჭამოს საქონელს. ნაწველიც კაცზედ ნაწილდება და არა მეწველ საქონელზედ—ჩემი რომ ორმოცი მეწველი იყოს და მეორისა ათი, მაინც ყველი და ერბო ტოლად გვერგება..- როცა მწყემსები გაჩაღებულ საქმიანობაში არიან იალაღზედ, ბარში იალაღის პატრონი სოფლები სოფლობას იძახიან. აქ ირჩევენ „მებალახეებს“. ამათში ერთი „ბელადი“ გამოდის. არჩევის შემდეგ ღვინოთი დატვირთულნი მებალახენი ბელადის წინ-გაძღოლით ადიან იალაღზედ და ეწვევიან თავიანთ ალაგში გაშენებულ ბინებს. სარქალმა უეჭველად რამე უნდა დაუკლას—ღვინო მებალახეთ თანა აქვთ და იმართება მწყემსების და ამათი ქეიფი მშვენიერ ბუნების არე-მარეზედ. მეორე დღეს ბინა აძლევს იმ თავით დადებულ საბალახეს ას ცხვარზე ერთ ცხვარს, ოც ძროხზე ერთ ძროხს*), ძროხაზედ ნაწველს. მერე ბინავე აძლევს ერთს ძროხას, საბალახეს გარეშე, რომელსაც ეძახიან «სამუგზურეს», ერთ მცირე რამ საქონელს კიდევ «საბელადოს». სამუგზურე შეშის ფასია, რადგან ბინის ახლო სათემო ტყეა ხოლმე და შეშას იქიდან სწვამს ბინა. სამუგზურესთან სოფელს ხელი არა აქვს, ის მებალახეებისაა. «საბელადო»—ბელადისაა. აღებულ საქონელს სოფელში ჩაჰრეკენ და იქ სოფლურად იყოფენ.

დიდ ძალ საბალახეს იღებდენ ზევით მოხსენებულ ცივის მეპატრონე სოფლები; კახეთში ბალმა-მხრის სოფლები: ნაფარეული, ფშაველი, შილდა და ყვარელი კავკასიონის მთის იალაღებიდგან. დღეს ესენი ,,ლესნიჩის'' ხელში არიან. არ შემიძლიან ერთი სცენით არ დავაბოლოვო ეს საბალახეთ მფლობელობის საქმე. მე დავესწარი ერთ ცივის იალაღის მეპატრონე სოფელში ოლქის სასამართლოს წევრის გამოძიებას. აქ ორმოცამდის კახეთის და კუხეთის ცივის მეპატრონე სოფლელები იყვნენ დაბარებულნი, რომ ეჩვენებინათ: ჰქონდათ თუ არა აზნაურთ დ—ებს მონაწილეობა იმ სოფლის მთაში, ტყეში და იალაღში. ყველა აჩვენებდა, რომ საბალახეს სოფლის კაცებს ვაძლევდით, როცა მაგათ იალაღზე გვედგაო და აზნაურები არ გვინახამს.—გაყოფის ანუ საბალახოს განაწილების კითხვაზედ ერთმა მოხუცმა შემდეგი ჩვენება მისცა წევრს.

— როცა მებალახენი მოჰრეკდენ საბალახეში აღებულ საქონელს, როგორ ჰყოფდენ? ჰკითხა წევრმა.

— როგორ და კომლზე ანაწილებდენ, შენი ჭირიმე—სამუგზურეს მებალახენი იღებდენ... როგორც ჩვეულება გვქონდა, შენი ჭირიმე, ისე.

— აზნაურებს რას აძლევდენ?

— რამდენი კომლიც იყვნენ—იმ რიგზე მაგათაც აძლევდენ.

— ოცი რომ ყოფილიყო მოკრეფილი.

— ერთი მაგათ ერგებოდათ, შენი ჭირიმე.

— ასზე?

— ხუთი ბატონს, ანგარიშის რიგზე, შენი ჭირიმე.

— ხუთზე? ეჰ, შე დალოცვილო, ხუთიდან მაგათ რა უნდა რგებოდათ? იმას მოხელე და ქედხუდა კაცები შესჭამდენ ხოლმე,—გაათავა თითქმის გაჯავრებულმა გლეხმა.

ამასთან არ შემიძლიან ბოლოს არ დავძინო, რომ საქონლის გატარების დროს ერთი დღე და ცოტა მომეტებულის ძოვნას საქართველოში ვერავინ დაუშლიდა და თუ დააგვიანებდა რომელსამე ადგილს, მაშინ ,,ბინა'' დაწესებულ საბალახეს იხდიდა. ქიზიყელ მწყემსებს გზაზე ერთი და ორი დღით გარე-კახეთის სათემო მინდორზე ძოვებას—არვინ უშლიდა.

შაქრო.

ს. რუის-პირი.

*) უსათემო ტყეოდ სოფელი არ იქმნებოდა და, როცა ეს ტყე საჭმელს დაისხამდა,—თუ იმ სოფლისვე მეღორეები დასდებდენ ბინას, ხომ კარგი, თუ არა და სხვა სოფლის მეღორეები მოვიდოდენ. აქაც დასწრობა იყო და გარეულ მეღორეებს რო დაესწროთ, შინაურები სხვაგან მიდიოდენ იოლს. საბალახე კი ყველგან ერთი და იგივე ჰხდებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ქვა-ნახშირის წარმოებამ აიწიოს. ასე თუ ისე—ეს საგანი მოკლეს ხანში უნდა გადასწყდეს სამინისტროში.

---

სახალხო განათლების მინისტრს გამოუთხოვია 100,000 მან. ციმბირის უნივერსიტეტის შენობის დამთავრებისათვის.

---

საექიმო დეპარტამენტის წინადადების გამო, სახალხო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია, როგორც გაზ. „რუსკი კურიერი“ იწერება, მოახდინოს სანიტარული რევიზია რუსეთის ყველა სასწავლებლებში, რომ გამოიკვლიოს რამოდენს წილს მოსწავლე ახალ-გაზდობისას აქვს ფიზიკური ნაკლულევანება.

---

ამავე გაზეთის სიტყვით, ახალის სავაჭრო წესდების შემდგენელ კომიტეტის მუშაობა წინ იწევსო. ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებს წარუდგენიათ, ამ საგნის შესახებ, სახელმწიფო რჩევაში ახალი პროექტი სათამასუქო წესისა. ფინანსთა სამინისტროს წარუდგენია აგრეთვე სავაჭრო საწყობთა გამართვის პროექტი. ამ საგნებთან ერთად განიხილება ზომა და დადგინება—რა წესით უნდა განაღდებულ იქმნას თამასუქი.— ახალი პროექტი სამკვიდროებზე უკვე განირჩა და გადასწყდა; განირჩევა აგრეთვე მოკლეს ხანში პროექტი კონტრობის თაობაზედ.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

დეკემბრის 14.

**პეტერბურგი.** მირონოვიჩის გამტყუნების შემდეგ, სარა ბეკერის მკვლელობაში, გავრცელდა ტყუილი ხმები, რომ ბეზაკი გამოტყდა, ვითომც ის იყოს მკვლელი; მოსკოვში-კი მკვლელობა დაიჩემა ფრანსიელმა მარესიმ—19 წლის ლატაკმა და უგუნურმა პირმა, რომელსაც უფიქრია, რომ ამით გავითქვამ სახელსაო.

**სტამბოლი.** კარანტინის მაგივრად იმ გემებზედ, რომელნიც შავი ზღვიდამ მიდიან, დაწესდა 24 საათის ზედამხედველობა; შავი ზღვისაკენ მიმავალი გემები-კი სანიტარულის მხრით უნდა იქმნენ გასინჯულნი.

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაბინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

---

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 დეკემბრიდამ 16 დეკემბრამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2\frac{1}{2}$

მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4\frac{1}{2}$

მეორისა— — —1 გ. 3 კ.

მესამისა— — —1 გ. $2\frac{1}{2}$

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4\frac{1}{2}$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3\frac{1}{2}$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა—1 გ. 7 კ.

მეორისა— — —1 გ. 6 კ.

სუკი . . . —1 გ. 14 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 7 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა—1 გ. 7 კ.

მეორისა— — —1 გ. 6 კ.

## განცხადებანი


### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1--40 | -- — 1—80 |
| — — 1--60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა-წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—53)

### ახლად გახსნილი საწყობი
### პურის სპირტის
### და
### დაწმენდილი არაყისა

კანტორა ვლადიკავკაზის სვიატო-ტროიცკის არაყის ქარხნისა შთამომავლობითი საპატიო მოქალაქეთა ივანე ადამის ძის **ფორაქოვისა** და დავით ადამის ძის **სარაჯოვისა** ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სანარდო საწყობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ერევნის მოედანზედ, ადელოვის კანტორის გვერდით.

საწყობში არის მრავალ-გვარი პურის სპირტი: კოფქენისა, ლავისა, ლიკიორისა და აბსოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაყები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწყობისა იყიდება თვით **დეპოში, დ. სარაჯოვის დიდს ახალს სახლებში** და ყოველ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭელია ერთ-ვედროიანის, $\frac{1}{2}$ ვედროიანი, $\frac{1}{10}$, $\frac{1}{16}$, $\frac{1}{20}$, და $\frac{1}{40}$-ვედროიანი, ეტიკეტით და საწყობის ბეჭდით. «მარკა»: „Владикавказскій Свято-Троицкій вино-куренный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада“. ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, $\frac{1}{2}$, და $\frac{1}{4}$-ვედროიანი ჭურჭლით საწყობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს საწყობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს - გარეშელთ უნდა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15—4)

### საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კონვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწვეები, ჩემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყელები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმიო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**პატაუკი**—20 კ. (100—27)

### ОТКРЫТА ПОДПИСКА

*на 1885 годъ*

на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету.

## „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

**ГОДЪ ШЕСТОЙ.**

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

| Съ доставкою въ Москвѣ: | | Съ пересылкою въ города: | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣс. 8 р. 50 к. | На 6 мѣс. 4 р. 50 к. | На 12 мѣс. 9 р. — к. | На 6 мѣс. 5 р. — к. |
| „ 11 „ 8 „ — „ | „ 5 „ 3 „ 90 „ | „ 11 „ 8 „ 50 „ | „ 5 „ 4 „ 60 „ |
| „ 10 „ 7 „ 50 „ | „ 4 „ 3 „ 25 „ | „ 10 „ 8 „ — „ | „ 4 „ 3 „ 70 „ |
| „ 9 „ 6 „ 75 „ | „ 3 „ 2 „ 50 „ | „ 9 „ 7 „ 40 „ | „ 3 „ 2 „ 75 „ |
| „ 8 „ 6 „ — „ | „ 2 „ 1 „ 90 „ | „ 8 „ 6 „ 70 „ | „ 2 „ 2 „ — „ |
| „ 7 „ 5 „ 25 „ | „ 1 „ 1 „ — „ | „ 7 „ 5 „ 90 „ | „ 1 „ 1 „ 10 „ |

За границу: на 12 м. 18 р.. на 6 м. 10 р., на 3 м. 5 р. 50 к., на 1 м. 2 р. 20 к.

Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій мостъ, домъ Н. П. Ланина; въ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы, С.-Петербурга и другихъ городовъ и въ Парижѣ - *Rue Clément, 4, Adam* и въ коммиссіонерской конторѣ *Agence Slave, Place de l' Opéra, № 4-й*.

Г.г. иногородніе благоволятъ адресоваться преимущественно въ контору изданія

„РУССКІЙ КУРЬЕРЪ“

Редакторъ-Издатель Н. П. ЛАНИНЪ.

(3—2)


*Доз. ценз. Тифлисъ, 14 Декабря 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.